

სკოლის თვითშეფასება ინკლუზიური განათლების
მონიტორინგის ფარგლებში

ნინო გულიაშვილი

ხატია ლეკიაშვილი

ნათია ოზბეთელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ზოგადი განათლების
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება

ზოგადი განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან თოდაძე, მოწვეული მასწავლებელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო გულიაშვილი

ხატია ლეკიაშვილი

ნათია ოზბეთელაშვილი

01.02.2021

აბსტრაქტი

ადამიანისთვის ფუნდამენტური უფლებაა თანასწორობა, რომლის მიღწევაშიც უმნიშვნელოვანესი როლი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას უკავია. ინკლუზიური განათლების მიზანიც სწორედ ესაა, რომ ნებისმიერი ფიზიკური თუ გონებრივი საჭიროების გათვალისწინებით თითოეულ ბავშვს შეუქმნას განათლების მიღების თანასწორუფლებიანი შესაძლებლობა. სკოლებს აქვთ ვალდებულება ხელი შეუწყონ ინკლუზიურ განათლებას. განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესების ეფექტურობისთვის კი აუცილებელია ნებისმიერი ქმედების შეფასება. ინკლუზიური განათლების განვითარებისთვისაც აუცილებელია პროცესის მუდმივი მონიტორინგი და მიზეზ-შედეგობრივი ქმედებები. პრაქტიკის კვლევის პრობლემას წარმოადგენს საკვლევ ორგანიზაციაში ინკლუზიური განათლების მონიტორინგის სისტემისა და ინსტრუმენტების არარსებობა, ამიტომ ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის მიზანია ინკლუზიური განათლების მონიტორინგის სისტემის შემუშავება საკვლევ სკოლის მაგალითზე. ორგანიზაციაში ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული ზოგადი სურათის შესწავლის შემდგომ მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის წარმართვისათვის შეთავაზებულ იქნა თვითშეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების მიერ პრობლემის დამოუკიდებლად პოვნას და მისი გადაჭრის გზების ძიებას. თვითშეფასების პროცესის დასაწერად შემუშავებულ იქნა ფოკუსირებული ჩარჩო, რომელშიც წარმოდგენილია ინკლუზიურ განათლებაში გასათვალისწინებელი აუცილებელი საკითხები. პრაქტიკის კვლევისას ჩამოყალიბდა თეორიული ჩარჩო და მოხდა მისი პილოტირება. წინა პროცესებიდან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით მოდიფიცირებულ იქნა თვითშეფასების სისტემა და ინსტრუმენტები. კვლევის ფინალურ ეტაპზე გამოვლინდა თვითშეფასების პროცესში სკოლის კადრის მაღალი ჩართულობა, რაც ინკლუზიური განათლების განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა და მეტყველებს პრაქტიკის კვლევის მიზნის მიღწევაზე.

საკვანძო სიტყვები: პრაქტიკის კვლევა, ინკლუზიური განათლება, სკოლის თვითშეფასება, თვითშეფასების ციკლი.

Abstract

Equality is a fundamental human right, and equal access to education plays a key role in achieving it. The goal of inclusive education is to create an equal opportunity for each child to receive an education, considering any physical or mental need. Schools have a responsibility to promote inclusive education. It is necessary to evaluate any action for the effectiveness of the current processes in the education system. Continuous monitoring of the process and cause-and-effect actions are also necessary for the development of inclusive education. The problem of action research is the lack of inclusive education monitoring system and tools in the research organization, so the aim of the research presented in the paper is to develop an inclusive education monitoring system on the example of the research school. After studying the general picture of inclusive education in the organization, a self-assessment method was proposed to lead the work of the monitoring group, which involves the school community to find the problem independently and find ways to solve it. In order to implement the self-assessment process, a focused framework has been developed, which presents the necessary issues to be considered in inclusive education. A theoretical framework was developed during the action study and piloting took place. The self-assessment system and tools were modified based on feedback from previous processes. The final stage of the research revealed the high involvement of school staff in the self-assessment process, which is one of the prerequisites for the development of inclusive education and indicates the achievement of the goal of the action research.

Keywords: *Action research, Inclusive education, School self-assessment, Self-assessment cycle.*

მადლობა

უპირველეს ყოვლისა, ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ მასწავლებელს, ქეთევან თოდაძეს.

მადლობას ვუხდით ჩვენს ლექტორებს ვარდენ ნიქაბაძესა და ნინო რევიშვილს სამაგისტრო ნაშრომში შეტანილი წვლილისა და დახმარებისთვის, ასევე, სკოლის დირექტორს, მის მოადგილეებსა და ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფის თითოეულ წევრს, რომლებიც ჩართულნი იყვნენ და მონაწილეობა მიიღეს კვლევაში.

ასევე, მადლობას ვუხდით ოჯახის წევრებს, რომლებიც გვიქმნიდნენ კომფორტულ გარემოს ნაშრომის შექმნისთვის და მუდამ მზად იყვნენ ჩვენი დახმარებისთვის.